წინასიტყვაობა

„საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალი" ჩამოყალიბდა ავტორიტეტულ გამოცემად, რომელიც ქართველ მეცნიერებს, იურიდიული პროფესიის პრაქტიკოსებსა და ახალგაზრდა მკვლევარებს აძლევს შესაძლებლობას, საერთაშორისო-რეფერირებადი აკადემიური პლატფორმის მეშვეობით, დაიმკვიდრონ ადგილი კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. სასიხარულოა, რომ გამოცემის მიმართ სამართლის პროფესიული წრეებისა თუ დამწყები მკვლევარების მხრიდან ინტერესი სულ უფრო მზარდია, რაც ჟურნალის განვითარების ახალ შესაძლებლობებს ჰქმნის.

2024 წლის „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის" მე-2 გამოცემა აერთიანებს ქართველი ავტორების ოთხ აკადემიურ ნაშრომს. კერძოდ, ჟურნალში თავმოყრილია ნაშრომები შემდეგ საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ექსტრატერიტორიული იურისდიქციის ფარგლებს „საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ (II)" საქმეში, სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ 2008 წლის საომარი მოქმედებების აქტიურ ფაზაში მომხდარი მოვლენები არ ექცეოდა რუსეთის ფედერაციის იურისდიქციის ფარგლებში (პროფესორ ევა გოცირიძის ავტორობით), სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი საწარმოო საქმიანობის მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი და მათი შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან (პროფესორ კონსტანტინე კორკელიას ავტორობით), ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასა და ადამიანის უფლებათა ფართო პრინციპებს შორის ურთიერთკავშირის განხილვა არსებითი თანასწორობის უფლების ჭრილში (პროფესორ ნიკო თათულაშვილისა და მარიამ ხარებაშვილის ავტორობით), მტკიცების ტვირთის სისხლისსამართლებრივი საკითხის გაანალიზება განგრძობადი პატიმრობისას ადამიანის უფლებათა სტანდარტების ფონზე (ლევან ძნელაძის ავტორობით).

იმედს გამოვთქვამ, „საკონსტიტუციო სამართლის ჟურნალის“ წინამდებარე გამოცემა გამოსადეგი წყარო იქნება პროფესიულ წრეებისთვის და შექმნის კვლევაზე დაფუძნებული დისკუსიის წარმართვის საინტერესო შესაძლებლობას.

პროფესორი **მერაბ ტურავა**
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე